JSC ÇALIK GEORGIA WIND

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ
ნინო თანდილაშვილს

21/07/2021

წერილის ნომერი : CGW-L-CLK-GEN-238

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ თქვენი 2021 წლის 15 ივნისის N5988/01 წერილში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინებით, ჩვენმა კომპანიამ განმეორებით მიმართა სსიპ კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს 50 მგვტ დადგმული სიმძლავრის ნიგოზს ქარის ელექტროსადგურის პროექტის განხორციელების არეალში ჩატარებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების წინასწარი კვლევის შედეგებთან დაკავშირებით.

სააგენტოს 2021 წლის 16 ივლისის N17/2693 წერილის მიხედვით, „მე-4 (GPS კოორდინატები: 441877.00 m E, 4647908.00 m N) და მე-9 (GPS კოორდინატები: 443059.00 m E, 4649371.00 m N.) ანძების მშენებლობის განხორციელებას აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს არქეოლოგიური სამუშაოები (შურფების გაჭრა). იმ შემთხვევაში, თუ საკვლევ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები დაადასტურებს უძრავი არქეოლოგიური ობიექტის არსებობას, საჭირო გახდება სრულყოფილი არქეოლოგიის განხორციელება ან აუცილებელი იქნება დასახელებული ანძების განთავსების ადგილების შეცვლა. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები არ გამოავლენს კულტურულ ფენებს, შესაძლებელი გახდება პროექტის განხორციელება, თუმცა ამ დროსაც გასათვალისწინებელი იქნება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნები“.

გამომდინარე აღნიშნულიდან, ნიგოზას ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი არქეოლოგიური სამუშაოების შესრულება სააგენტოს წერილში მოყვანილი სქემის მიხედვით.

წარმოგიდგენთ ნიგოზას ქარის ელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ის ანგარიშის კორექტირებულ ვერსიას თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 13022
"22" 07 2021
ბ.
+ 02 + სოფლისმეურნეობა

წერის თან ერთვის:

- 50 მვტ დადგმული სიმძლავრის „ნიგოზა“-ს ქარის ელექტროსადგურის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- 50 მვტ დადგმული სიმძლავრის „ნიგოზა“-ს ქარის ელექტროსადგურის და 110 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გზშ-ს ანგარიშის არა ტექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;

129a Aghmashenebeli Avenue
Tbilisi - Georgia
info@calikgeorgia.com

JSC ÇALIK GEORGIA WIND

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ის რეგისტრაციის თაობაზე;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 ივლისის N17/2693 წერილის ასლი;
- დანართის 1-2 პუნქტში მოცემული დოკუმენტების ელ. ვერსია და პროექტის GIS კოორდინატები shp -ფაილის სახით - 1 CD.

JCS CALIK GEORGIA WIND
CALIK ENERJİ
404498119

პატივისცემით,

მურათ ოზქანი

პროექტის მენეჯერი

129a Aghmashenebeli Avenue
Tbilisi - Georgia
info@calikgeorgia.com